ახალი ხარისხი

CapaSol RapidGrund

ღრმად შემღწევი საგრუნტავი, რომელიც დაიტანება სამღებრო გორგოლაჭით. დატანისას არ წარმოქმნის წვეთებს.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	გასამყარებელი და ზედაპირის გასათანაბრებელი გამჭირვალე საგრუნტავი მასალა - უხეშფოროვანი, არათანაბარი შეწოვის მქონე ზედაპირების, ცარცვადი ბათქაშების და ბეტონისთვის. ასევე შესაძლებელია თაბაშირის და თაბაშირ-მუყაოს ფილებზე გამოყენება საგრუნტავ ფენად, **CapaSol RapidGrund საუკეთესოდ გამოდგება სამღებრო გორგოლაჭით დატანისთვის.**
თვისებები	■ მარტივად დაიტანება სამღებრო გორგოლაჭით, არ წარმოქმნის წვეთებს ■ კონსერვანტების გარეშე ■ გამყარების კარგი უნარი ■ ხანგრძლივი დროით შესაძლოა იყოს გახსნილ მგომარეობაში ■ წყალდისპერსიული
მასალის შემკვრელი	სინთეზური მასალის - მოდიფიცირებული წყლის დისპერსია DIN 55945-ის მიხედვით.
შეფუთვა	2,5 ლ, 10 ლ.
ფერი	გამჭირვალე
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლ. 1,1 გ/სმ3

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606 -ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(–) არ არის შასაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან (ზეთები, ცხიმები) თავისუფალი, მშრალი. თანახმად სტანდარტისა VOB, ნაწილი C, DIN EN 18 363, პარაგრაფი 3.

CAPAROL

ზედაპირის მომზადება	**Q2 / Q3 ფითხები / ბათქაშები / თაბაშირის თხელი ფენები <0,5 მმ:** ჰიდრავლიკურად ხარისხის დონის - Q2 / Q3 დამჭერი, თაბაშირზე დაფუძნებული გამასწორებელი ნარევების გამოყენებისას, რეკომენდებულია გამქვირვალე, წყალზე დაფუძნებული საგრუნტავი. თაბაშირზე დაფუძნებული Q3 ფითხების / ბათქაშების ალტერნატივად, რეკომენდირებულია ნარევები პასტის მსგავსი შემავსებლებით.
დატანის მეთოდები	პროდუქტის დასატანად, საუკეთესოდ გამოდგება სამღებრო გორგოლაჭი. ასევე შესაძლებელია ფუნჯით და უჰაერო მიფრქვევით (Airless) დატანა.
პროდუქტის გათხელება	აუცილებლობის შემთხვევაში გათხელდეს 2 ნაწილი წყლით. ასეთ შემთხვევაში სამღებრო გორგოლაჭით დატანა არ არის რეკომენდირებული.
დაფარვის თანმიმდევრობა	ოპტიმალურია - CapaSol RapidGrund -ის გაუზავებლად, სამღებრო გორგოლაჭით დატანა. ზომიერად შემწოვ ზედაპირებზე დაიტანება გაუზავებელი, ერთ ფენად. ღრმად შემწოვ ზედაპირზე ასევე გაუზავებელი და 1 ფენად, თუმცა ისე, რომ კარგად გაიჟღინთოს ზედაპირი. გრუნტმა არ უნდა წარმოქმნას პრიალა აპკი.
ხარჯი	დაახლ. 50–200 მლ/მ2, დამოკიდებულია ზედაპირის დამოკიდებულია ზედაპირის სტრუქტურაზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.
გამოყენების პირობები	ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +8 °C ხოლო მაქსიმალური +30 °C.
შრობის დრო	20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება
ხელსაწყოები	სამღებრო გორგოლაჭი (პოლიამიდი 13-15 მმ), ფუნჯი ან ჩოთქი. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით
უჰაერო მიფრქვევა (Airless)	მიფრქვევის კუთხე: 60° ნახვრეტის დიამეტრი: 0,029" წნევა მიფრქვევისას: 50 ბარი
შენიშვნა	CapaSol RapidGrund-ი არ არის გათვალისწინებული ჰორიზონტალური, წყლით დატვირთული ზედაპირებისთვის.

შენიშვნები

უსაფრთხოების ზომები	მოარიდეთ ბავშვებს! არ ჩაისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი", გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2. მუშაობის პროცესსში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ და გულდასმით დაიბანეთ წყლით და საპნით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ უსაფრთხოების ფურცელი.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქის ან საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ < 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	GISCODE: BSW10
შემადგენლობა	შემადგენლობის დეკლარაცია VdL სახელმძღვანელოს 01 შესაბამისად: ტუტე წყლის მინა, პოლიაკრილატის ფისი, წყალი, დანამატები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო.
office@caparol.ge